თსუ - არქეოლოგიის ინსტიტუტი

მამკოდას არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2011 წლის 18-29 ნოემბერს

ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში

ავტორები: ვ. ლიჩელი გ. რჩეულიშვილი

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ საგურამო -ნავთლუღის ტრასის გაყვანის დროს ტრასის 31-ე კიოლომეტრზე ექსკავატორმა დააზიანა ქვის ფილებით შედგენილი ქრისტიანული სამარხი. გამოცხადდა ტენდერი არქეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად, რომელშიც გაიმარჯვა თსუ - არქეოლოგიის ინსტიტუტმა (დირექტორი - პროფ. ვახტანგ ლიჩელი). სასწრფაოდ ჩამოყალიბდა საექსპედიციო ჯგუფი (პროექტის ავტორი - პროფ. ვახტანგ ლიჩელი, ექსპედიციის ხელმძღვანელი - პროფ. გიორგი რჩეულიშვილი, მენეჯერი - დავით ნასყიდაშვილი). 19 ნოემბერს გამოვცხადდით ძეგლზე მაგისტრანტ-ბაკალავრთა ჯგუფით და შევუდექით მუშაობას.

სამაროვანი მდებარეობს მდინარე გლდანულას მარცხენა ფერდობზე, ვრცელ ტერასაზე, ნასოფლარ მამკოდას სამხრეთით, დაახლოებით 250-300 მეტრის დაშორებით, ტყიანი ფერდობის ძირში, ვრცელი ვაკის (ადგილი - „ველები“) აღმოსავლეთ კიდეში. ეს ვაკე ადგილი დღესაც სახნავი სავარგულია. ბუნებრივია, რომ წარსულშიც სახნავ-სათესად იქნებოდა გამოყენებული. ამ ვაკის ჩრდილო კიდის გაყოლებით შეიმჩნევა უძველესი ნასოფლარი, რომელიც ნასახლარი ორმოებისგან შედგება. აქ დაახლოებით 20-25 კომლს უნდა ეცხოვრა მიწურ-ბანიან სახლებში. ნასოფლარის დასავლეთ ბოლოში, მცირე ბორცვზე შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევი. ჩანს 1-1,5 მეტრის სიმაღლის კედლები, ნაგები მოყვითალო ქასურის უხეშად გათლილი კვადრებით კირხსნარზე. კედლის ნაშთები ნაწილობრივ, თავისივე ნანგრევებით, მიწითა და ბუჩქნარითაა დაფარული. არ ჩანს კარის ან სარკმ ლის ღიობი. ნააგებობა მეტად არქაულ იერს ატარებს. ადრეული თუ არა, განვითარებული შუასაუკუნეების მაინც უნდა იყოს და ბუნებრივია, ზემოხსენებულ ნასოფლარს უნდა ეკუთვნოდეს. (ადგილობრივი მკვიდრის - გურამ სულხანიშვილის ცნობით აქ სალოცავად მოდიოდნენ სოფელ მამკოდას მოსახლეობის ნაწილი. აღდგომის დღეს. რომელი წმინდანის სახელზე ლოცულობდნენ არ ახსოვს). ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი სამაროვანიც ამ ნასოფლართან იყოს დაკავშირებული.

რამოდენიმე დღის განმავლობაში, უამინდობის მიუხედავად,მოვათავეთ გათხრილი სამუშაოები. გაზგაყვანილობის ზონაში გამოვლინდა სულ სამი ქვის სამარხი ქრისტიანულად დაკრძალული ჩონჩხებით.

სამარხი #1 (გახსნამდე) - ქვის დიდი ზომის ფილებით შედგენილი სამარხი. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. დაზიანებულია, ექსკავატორმა მოაცილა აღმოსავლეთი თავკედელი. გვერდითი კედლები თითო ფილაქვისაგან შედგება, დასავლეთ თავკედელი რამოდენიმე უფორმო ქვისგანაა შეკოწიწებული. სახურავი ორი დიდი ზომის ფილაქვაა. მათგან დასავლეთი ფილა ჩამსხვრეულია, ალბათ მძიმე ტექნიკის ზემოქმედებით.

სამარხის გარეგანი ზომები: სიგრძე - 2,1 მ; სიგანე - 1,5 მ; სიმაღლე - 0,75 მ;

სამარხში დადასტურდა ქრისტიანული წესით ზურგზე გაშოტილი სამი ინდივიდი, თავით დასავლეთისაკენ. ჩრდილო კედელთან, ერთმანეთის მიჯრით დაუკრძალავთ ორი ზრდასრული ადამიანი, სამარხის შუა ნაწილში კი, მცირეწლოვანი ბავშვი. ინვენტარი არ დადასტურდა.

ანთროპოლოგიური აღწერა:

ძვლოვანი მასალა და თავის ქალები ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ბოქვენის ორი ძვალი და მენჯის ძვლების მცირე ფრაგმენტები. სამი ინდივიდიდან ერთი ქალია, მეორე მამაკაცი. მესამე მცირეწლოვანი ბავშვი სავარაუდოდ ბიჭია.

სხეულის ტიპი (ორივე მიცვალებულის) – დოლიქომორფული (გძელი კიდურები, შედარებით მოკლე ტორსი).

შემორჩენილია კბილები – ორი პრემოლიარი. ერთი ძირითადი მოლიარი ქვედა და ზედა ყბის ღოჯები (5).

ცვეთის ხარისხი – 1

კბილის ემალი მოყვითალო ფერის, საშუალოდ ფტორიზებული, დაზიანებული, კარიესის ნიშნებით.

ასაკი – 25-30 წელი.

სამარხი #2 (გახსნამდე) - ქვის ფილებით შედგენილი სამარხი. დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ. სახურავი სამი ფილაქვისაგან შედგება. ოთხივე კედელი თითო ფილაქვითაა წარმოდგენილი.

კუთხეებთან გარედან ჩალაგებულია უფორმო მოზრდილი ქვების გროვები, ალბათ კედლების შესამაგრებლად.

სამარხის გარეგანი ზომები: სიგრძე - 2,44 მ; სიგანე - 1,18 მ; სიმაღლე - 0.88მ;

ანთროპოლოგიური აღწერა:

ინდივიდუალური სამარხი. დაკრძალულია ერთი ინდივიდი

სქესი – მამაკაცი

ფიზიკური ტიპი – სიმაღლე 170 სმ. დოლიქომორფული. მიცვალებული წევს პირქვე.

თავის ქალა ჩაშლილი. შენარჩუნებულია მხოლოდ ქვედა ყბა და ზედა ყბის ფრაგმენტი რამდენიმე კბილით.

პოსტკრანიალური ნაწილი შედარებით უკეთესად არის შემონახული. ბარძაყის ძვლის ყელის არეში შეინიშნება ძვლის სტრუქტურის დაზიანების ნიშნები. ბარძაყის ძვლის ყელის განლევის საწყისი ფორმა.

ქვედა კიდურების ეპიფიზური ნაწილი – სასახსრე ზედაპირები ორივე კიდურზე ჰიპერტროფირებულია.

ქვედა ყბა მასიურია. შენარჩუნებულია ყველა კბილი. ზედა ყბის ფრაგმენტზე შენარჩუნებულია სამი კბილი. ყველა კბილი ქვედა და ზედა ყბაზე ამოსულია ყბის ფესვის ფოსოდან, ფესვის ყელი გაშიშვლებულია. კბილების მდგომარეობა მიუთითებს პარადონტოზის დაავადებაზე. კბილის ემალი მოყვითალო ფერის, საშუალოდ ფტორიზებული.

ცვეთის ხარისხი – 2.

ასაკი – 25-30 წელი

სამარხი #3 (გახსნამდე) - ქვის ფილებით შედგენილი სამარხი. სახურავი ოთხი ფილითაა შედგენილი. აღმოსავლეთ და ჩრდილო კედლები თითო ფილითაა წარმოდგენილი. დასავლეთი და სამხრეთ კედლები შიგნითაა ჩაქცეული და არ ჩანს.

ზომები გახსნამდე: სიგრძე - 2,1 მ; სიგანე - 1 მ; სიმაღლე 0.66 მ;

ანთროპოლოგიური აღწერა:

დაკრძალულია ორი ინდივიდი, ორივე ქალი.

ერთი ინდივიდის კრანიალური და პოსტკრანიალური ნაწილი ძლიერ დაზიანებული, ისაზღვრება მხოლოდ სიმაღლე – 1, 45 მ.

მეორე ინდივიდის კრანიალური და პოსტკრანიალური ნაწილი შენარჩუნებულია.

ჩონჩხის ძვლები გრაციალურია, მოყვითალო ფერის. რაიმე პათოლოგიის ნიშნები არ აღენიშნება.

სიმაღლე – 1, 33 მ.

თავის ქალა – შენარჩუნებულია მთლიანად

სახის ქალა – ნაწილობრივ: ზედა ყბის ფრაგმენტი სამი ძირითადი მოლიარით (V,VI,VII)

ქვედა ყბა მთლიანად ჩაშლილი შენარჩუნებულია 8 კბილი

თავის ქალას ტიპი – მეზოკრანიალური.

ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის.

ზედა ყბის მცირე პროხელია.

ასაკი – 25 წ-მდე.

კბილების ცვეთის ხარისხი – 0

კბილის ემალი კალცინირებული, თეთრი ფერის.

პრემოლიარებსა და ძირითად მოლიარებზე კარიესის ნიშნები.

თავის ქალას მარცხენა მხარეს საფეთქლის ძვლისა და კეფის ძვლის საზღვარზე გრძივი ნახეთქი, ხოლო კეფის ძვლისა და ქალას სარქვლის საზღვარზე ოვალური გამჭოლი იარა აღენიშნება. დაზიანება მიყენებულია ბასრი იარაღით. სავარაუდოდ თავის ქალას აღნიშნული დაზიანება გახდა გარდაცვალების მიზეზი.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბულა 1 სურათი # 1 - არეალური ფოტო.

ტაბულა 1 სურათი # 2 - არეალური ფოტო.

ტაბულა 2 სურათი # 1 - სამარხი # 1 ფოტო.

ტაბულა 2 სურათი # 2 - სამარხი # 1 გრაფიკული ჩანახატი.

1